# გაუხმაურებელი ფაქტები

№ 21 (172) 23 –29 მაისი. ყოველკვირეული გამოცემა გამოდის სამშაბათობით ფასი 50 თეთრი



## ინტრიგებს რომ ასცდე, ინტრიგანი უნდა იყო

*ნებისმიერ თანამდებობაზე წასვლა მაშინ ღირს, როცა მას აზრი აქვს. თუ დარწმუნდი, რომ ახლა როგორი პატიოსანიც ხარ, იქ მისვლის შემდეგაც ისეთივე დარჩები და შენს მოსყიდვას ვერავინ შესძლებს, ან ეფექტი ექნება შენს მუშაობას, უნდა დათანხმდე.*



## შავიშვილის გადადგომა —



## ერთი კილოგრამი

# საბერძნეთში... სტუმრად ლიანა ისაკაძესთან



საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის საერთაშორისო ტურნეს (ევროპიდან-იერუსალიმამდე) ორგანიზება საბერძნეთში მთლიანად თავისთავზე აიღო ათენის ქართულმა ინსტიტუტმა და ბერძნულ— ქართულმა ასოციაციამ -,,კავკასია''. ლიანა ისაკაძისა და მთელი ორკესტრის ეს მოგზაურობა ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია, სამოცდაათ წელს ,,რუსულად'' მონათლული ქართული ხელოვნებისთვის.

ათენის ცენტრში, ორიათასკაციანი დარბაზი, მაყურებელს ვერ იტევდა. საღამო გახსნა ბერძნულ-ქურთული ასოციაციის ხელმძღვანელობამ, ბატონებმა: თ. სტოლტიდისმა (პრეზიდენტი), დ. თეოფილომ ( გენერალური მდივანი) და ა. მიქაბერიძემ (ვიცე-პრეზიდენტი), ორკესტრს ამშვენებდა უცხოელი სოლისტი ივან მონიგეტი (შვეიცარია), რომელიც თავს ისაკაძის მოწაფედ თვლის. მსმენელი მოიხიბლა ქალბატონ ლიანას ვირტუოზული საშემსრულებლო ხელოვნებით, რის დასტურად ემოციური შეძახილები და ზღვა ყვავილებიც კმარა.

მეორე, ასეთივე გრანდიოზული საღამო, მოეწყო ეროვნული უნივერსიტეტის ცერემონიათა დარბაზში, რომელიც თავისი მორთულობით პანთეონის ინტერიერს ჰქმნიდა. კონცერტს დაესწრო საბერძნეთის ელიტა, სხვადასხვა ქვეყნის ელჩებისა და სამღვდელოების წარმომადგენლები. საღამო გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა ბატონმა კონსტანტინე დიმოპულსმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა საქართველო-საბერძნეთის ურთიერთობის ისტორიული მნიშვნელობა.

დარბაზი მოჯადოებული დარჩა ქალბატონი ლიანა ისაკაძის ხელოვნებით. ქართველი მუსიკოსების საპატივსაცემოდ მიღება გაიმართა ათენის საუკეთესო სასტუმრო-სტადიონში, რომელსაც მასპინძლობდა ბერძნულ-ქართული ასოციაციის გენერალური მდივანი, ცნობილი ბიზნესმენი დიმიტრი თეოფილი. ეს იყო ორი მეგობარი ქვეყნის შვილთა ურთიერთთანამშრომლობისა და მონატრების მშვენიერი საღამო-ვახშამი. ქართული ნიჭის ზეიმთან ერთად ჩინელმა მევიოლინემ ბინ ხუანიმ დამსწრეთ მოუმზადა სიურპრიზი — შეასრულა ,,სულიკო'', მოგვიანებით კი ქართული ორკესტრის რამდენიმე წევრთან ერთად ,,ელეგია'' და ,,ჰაralო''. სიამოვნებას სიამოვნებას მატებდა ბერძნული წარმოშობის ქართველი ცნობილი დირიჟორის ოდისეი დიმიტრიადისა და ლიანა ისაკაძის დუეტი.

საღამო დააგვირგვინა ავთანდილ მიქაბერიძის ოჯახის წევრების თანამედროვე ცეკვებმა. როგორც ითქვა — 11 წლის ლუკა მიქაბერიძე ნამდვილად შეძლებს ცეკვით დაიპყროს მსოფლიო. ის, რომ პატარა ლუკა დიდი დოდო ალექსიძის შვილიშვილია, კიდევ ერთხელ გვარწმუნებს მის ნაღდ ქართველობაში.

სამშობლოდან იძულებით აყრილი ქართველი ლტოლვილები იმ დღეს, საბერძნეთში სტუმრად ვიმყოფებოდით ლიანა ისაკაძესთან.

**შორენა შენგელია**